პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 15 თებერვალი № 38 (16775) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვ ი ვ ნ ი ს ი დ ა ნ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ი ს ე უ ნ დ ა მ ო ვ ი ქ ცე თ, რ ო მ თ ვ ი თ ე უ ლ ‍ რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა ბ ი, მ ხ ა რ ე ბ ი, ო ლ ქ ე ბ ი, თ ვ ი თ ე უ ლ ‍ კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს ა ა ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს ა, ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს ა ა ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს ა, ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ს ა ა ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე ო ფ

პარტიულ ორგანიზაციებში

მეტი, უკეთ, ნაკლები პერსონალით

ტულის ოლქის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გვირჩია უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ტულის ოლქში შობილი შჩეკინოელთა მეთოდი. მუშაობდა რა დევიზით „მეტი, უკეთ, ნაკლები პერსონალით", ამ თაოსნობის ინიციატორმა — გაერთიანება „აზოტის", წარსულში შჩეკინოს ქიმიური კომბინატის კოლექტივმა კარგ შედეგებს მიაღწია. ექსპერიმენტის დაწყებიდან, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა, ქიმიური კომბინატის მუშაობა პროდუქციის გამოშვება 2,7-ჯერ გაადიდეს, შრომის ნაყოფიერება — 3,4-ჯერ, ამასთანავე ათას ხუთასი კაცით შეამცირეს პერსონალი.

წარმატების საწინდარი გახდა სამუშაო ადგილების რაციონალიზაცია, კონტროლიორა და ავტომატიკის მაღალეფექტიანი საშუალებების დანერგვა. ბევრ ოპერაციაზე ხელის შრომის მიჭანაზმებით შეცვლა. ამ ღონისძიებების განხორციელებამ, შრომის მიცანიერული ორგანიზაციის დანერგვამ შესაძლებლობა მისცათ შემოღოთ მოწყობილობის მომსახურების ახალი ნორმატიები. ქიმიური კომბინატის მუშაკებმა შეძლეს შეეთვისებინათ რამდენიმე პროფესია, გაეფართოებინათ აგრეგატების მომსახურების ზონები. ამ საერთად გაათავისუფლეს ასობით მეალპარატე, მემანქანე, მეტუმბოე, ლაბორანტი. მოწყობილობის შემკეთებელი ხუთი ხელოვნურად ბეტონ საამქროს შექმნამ შესაძლებელი გახადა არსებითად ამაღლებულიყო მერემონტეთა შრომის ნაყოფიერება. ბევრი რამ მისცათ რამდენიმე საწარმოს გაერთიანებამ, საამქროების რეკონსტრუქციამ, რაც განხორციელდა ამ საამქროების შეუჩერებლად.

ამჟამად „აზოტის" ქიმიკოსთა ლევიზონი — „მეტი, უკეთ, ნაკლები პერსონალით" — შჩეკინოში საწარმოთა თითქმის ნახევარი მუშაობს. შედეგებმაც არ დააყოვნა. მაგალითად, პურკომბინატში ცალკეული პროცესების მექანიზაციისა და მომსახურების ნორმების მოწესრიგების გზით გათავისუფლდა 56 მუშაკი. ამ ხალხით დაკომპლექტეს ახალი საკონდიტრო საამქრო. უკვე ორი წელია შჩეკინოს მეთოდით მუშაობს სინთეზური ბოჭკოს ქარხანა. ამ დროის განმავლობაში, ძირითადად სარემონტო სამსახურების ცენტრალიზაციის გზით, აქ გამოათავისუფლეს 185 კაცი. გაიშალა შეჯიბრება მომსახურების ზონების გაფართოებისათვის. მუშაობა რიცხვი უცვლელი დარჩა, ბოჭკოს გამოშვება კი განუხრელად იზრდება. თაოსნობის ინიციატორმა — შგრეხვამა ვალენტინა მატანამ ვალდებულება იკისრა მეათე ხუთწლედის დავალება ხამ წელიწადში შეასრულოს. დღეს მის შრომითს კალენდარზე 1978 წელია. მოწინავე მუშას, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრების ავანგარდშია, ახლობით მიმდევარი ჰყავს. მეათე ხუთწლედში ამ რეზერვის ხარჯზე ქარხანას გათვალისწინებული აქვს იმავე პერსონალით 17-დან 23 ათას ტონამდე გაადიდოს ბოჭკოს გამოშვება.

სკკპ შჩეკინოს საქალაქო კომიტეტი დიო ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა სხვა საწარმოებში ქიმიკოსთა გამოცდილების გავრცელებისათვის. ამ მიზნით შეიქმნა საბჭო, რომელშიც შედიან პარტიული, სამეურნეო მუშაკები და მოწინავე მუშები. საბჭოს წევრები ეწევიანენ მაკარონის ფაბრიკას და ურჩიეს კოლექტივს, როგორ აამაღლონ შრომის ნაყოფიერება პროფესიების შეთავსების გზით. რიგშია აგურის ქარხანაში, საშრობ ფაბრიკაში წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების კომპლექსური შესწავლა.

უშუალოდ იმათ სამუშაო ადგილებზე, ვინც შეძლო უფრო წარმატებით შეეთავსებინა პროფესიები, ან გადასულიყო მომსახურების გაფართოებულ ზონაზე, იქმნება მოწინავე გამოცდილების სკოლები. ქარხნის საამქროებში მუდამ დადიან აგიტატორები.

პარტიის შჩეკინოს საქალაქო კომიტეტივთ, ოგივე საზრუნავი აქვს დღეს ტულის მთელ საოლქო პარტიულ ორგანიზაციას. ოლქში მთელი სამრეწველო პროდუქციის მესამედი შჩეკინოს მეთოდით გამოდის. ამის შეთხვევით გამოათავისუფლეს 20 ათასზე მეტი მუშა, რომლებიც ახალ საწარმოებში გაიგზავნა. მაგრამ ტულელი კომუნისტები მიღწეულ მიჯნებს არ სჯერდებიან და ახორციელებენ ენერგიულ ღონისძიებებს შჩეკინოელთა მეთოდის შემდგომი გავრცელებისათვის, იმისათვის, რომ მშრომელები დარაზმონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ფართოდ გაშლისათვის.

ა. სიროვატკინი,
საკავშირო კორ.
ტულა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებები ხორციელდება

დაგვიანება საქმეს ვნებს

ახლა რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ხელთ აქვთ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებები და მასალები.

პლენუმმა განიხილა ჩვენი რესპუბლიკისათვის საარსებო მნიშვნელობის პრობლემები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძნელია მოინახოს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში სხვა ისეთი პარტიული დოკუმენტი, რომელშიც ასე ღრმად იყოს გაანალიზებული არა მარტო მომსახურების სფეროს, არამედ მისი მონაწილეები და მასთან დაკავშირებული დარგების საქმიანობა, ერთობლივად, ასე სრულად, ყოველმხრივ, თანამედროვე მოთხოვნების პოზიციებიდან იყოს განხილული ისინი. ამ მასალებში მეტად მკაფიოდ და რელიეფურად არის გამოკვეთილი და შერწყმული როგორც მოსახლეობის, ისე მომსახურების სფეროს მუშაკთა ინტერესები. მათში თანაბრად გამოსჭვივის პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა და დიდი ყურადღება მათდამი.

ათიათასობით და ასიათასობით ადამიანმა წაიკითხა ან მოისმინა პლენუმის მუშაობის ანგარიში. მაგრამ ამჟამად პარტიული ორგანიზაციების ყველაზე უაზლესი და გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ პარტიულ კრებებზე განხილვამდე რაც შეიძლება სწრაფად და მოკლე დროში თვითეულ ადამიანს ზედმიწევნით განეუმარტოთ პლენუმის მასალები. პროპაგანდისტების, ლექტორების, პოლიტინფორმატორებისა და პროპაგანდისტების საშუალებით მოვაწყოთ მათი კითხვა-გაცნობა.

სპქმით დაინტერესებული ადამიანი კი, ვისაც ნამდვილად შესტაკება გული მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მონახავს თავის უბანს და თავის ადგილს პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

თუმცა დადაწყვეტილების განხორციელება ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქის ამოცანა და მოვალეობაა, მაგრამ ეს უპირველეს ყოვლისა და განსაკუთრებით ეხება სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რადგან პლენუმზე განხილული ერთ-ერთი ძირითადი საკითხი მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა. ეკჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია.

პლენუმის მასალებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ადამიანები ჭოითხოვენ დაუყოვნებლივ დამყარდეს წესრიგი არა გაისად, არა ერთ თვეში და არა ხვალ, არამედ — დღეს.

ეს გარემოება კარგად გაითვალისწინეს ჩვენი დედაქალაქის ბევრ საეკჭრო ორგანიზაციაში და დროულადაც გაჩაღდეს მუშაობა. მრავალთაგან ეი ერთი მაგალითი. თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში უკვე განხორციელეს რამდენიმე ღონისძიება. აღვნიშნავთ ზოგიერთს.

პლენუმის დამთავრების მეორე დღეს გაიმართა უნივერმაღის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც ინფორმაცია გააკეთა პლენუმის მონაწილემ, პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ბერიოვმა.

ამის შემდეგ ადგილებზე, სექციებსა და განყოფილებებში გაიმართა საუბრები, რომლებიც მიეძღვნა პლენუმის მასალების გაცნობას. საუბრებს აწყობდნენ პარტბიუროს წევრები, სექციათა გამგეები, აგიტატორები, პროპაგანდისტები და სხვა აქტივისტები.

10 თებერვალს მოეწყო უნივერმაღის პარტიული ორგანიზაციის კრება. აქ დიდი სჯა-ბაასი გაიმართა იმაზე, თუ როგორ, რა გზით უზრუნველყონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება. კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

მაგრამ, ყველგან ასე როდია.

...ვაკეში, ი. ჭავჭავაძის პროსპექტის ბოლოში, მიწისქვეშა გადასასვლელთან დიდი ᲐᲒᲚ სასურსათო მაღაზიაა. რამდენიმე თვის წინათ იგი კაპიტალურად შეაკეთეს, თვითმმსახურების მაღაზიად გადააკეთეს. მომსახურების ამ ფორმის სიკეთე ცნობილია და ეს კარგად იგრძნო მაღაზიის მიმდებარე ქუჩების მოსახლეობამ. მით უმეტეს, რომ ახლომახლო ამ ფორმით მოვაჭრე სხვა ობიექტი არ არის.

თვითმომსახურების ერთ-ერთი უპირატესობა საცალო და დაფასებული საქონლით ეაჭრობაა. საჭირო არ არის სურსათის აწონ-შეხვევა, ყველაფერი წინასწარ გამზადებულია და მომხმარებელს მათ შეძენაზე ცოტა დრო ეხარჯება. ეს მაღაზია ქალაქში სხვებისგან ამით გამოირჩევა, რომ მთლიანად შეფუთული საქონლით ეაჭრობს, მათ შორის ძეხვით, ხორცით, შეეცალოთ ყველით და სხვ.

რემონტის შემდეგ მუშაობის განახლების მომენტისათვის (მაღაზია შარშან ოქტომბრის ზეიმის წინა დღეს გაიხსნა) მისი შტატი მთლიანად ახალგაზრდა ქალებით დაკომპლექტდა, 25 თანამშრომლიდან 15 კომკავშირელია, ამიტომ იგი კომკავშირულ-ახალგაზრდულ ობიექტად გამოაცხადეს.

ეი ასეთ კოლექტივში და ასეთ ობიექტზე, სადაც შეიძლება იგრძნოთ ბოლო დროს ეაჭრობაში გაწეული მუშაობის შედეგები, მოსალოდნელი იყო, რომ სხვებზე ადრე გამოეჩმაურებოდნენ, სხვებზე სწრაფად და გულდასმით გაეცნობოდნენ V პლენუმის მასალებს, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

მაღაზიის დირექტორს ია გიორგაძეს რომ ვკითხეთ, გაეცანით თუ არა პლენუმის მასალებს-თქო, როგორ არა, გუშინ (9 თებერვალს) დავამთავრე წაკითხვა. მაგრამ კოლექტივისათვის კი ის მასალები ჯერ არავის გაუცანია. პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის მითითებით თანამშრომლებისათვის მისი გაცნობა 20 თებერვლის შემდეგ აქვს დაგეგმილი თვითონ დირექტორს. რატომ ასე დაგვიანებით? სად არის კომკავშირული ჯგუფორგი ნუნუ ზედელაშვილი, რატომ ის არ ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში?

ანდა აი ამავე რაიონისა და ამავე ეაჭრობის მეორე ობიექტი — № 8 მაღაზია (ბარნოვის ქუჩა), სადაც დირექტორად გ. ფაილოძეა. ეს მხოლოდ ზოგს და ისიც ყურმოკრულად თუ გაუგონია პლენუმის შესახებ, რადგანაც არავის უფიქრია დროზე, გულდასმით გაეცნო 30 კაცანი კოლექტივისათვის, რა ითქვა პლენუმზე. აქაც ელოდებიან, თუ როდის დაუნიშნავენ ხელმძღვანელები კრებას...

მაგრამ ეს მარტო მათი ბრალი როდია. სად იყო ქსელის პარტიული ორგანიზაცია, სად იყო პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტი? ეს იმის შედეგიც არის, რომ საკირია თუ არა, დანან და ელიან „ზევიდან" მითითებებს, თუ დაიცალენ, ხომ კარგი, თუ არადა, თავის მხრივ დამოუკიდებლობას არ იჩენენ მაშინაც კი, როცა ხედავენ, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტები, რომლებიც მთლიანად და სავსებით მათ ეხება, მათი სისხლხორცეული და ღვაძლი საქმეა. ასეთ დროს პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელები ნუთუ საკუთარი ალღოთი ვერ ხვდებიან, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, „რა არის კარგი" და „რა არის ცუდი". განა აუცილებლად თითი უნდა დაუდონ და უთხრან: ეს „ანია," ეს „ბანი". განა თვითონ არ უნდა იცოდნენ, რომ რაც უფრო სწრაფად გააცნობენ ყოველ დახლის მუშაკს პლენუმის გადაწყვეტილებებს, რაც უფრო ნათელი წარმოდგენა ექნებათ დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე, მით უფრო გაადვილდება მათი შესრულებისათვის მუშაობა? ეს ხომ ელემენტარული მეშმარიტებაა!

არა გვგონია, მათ არ ესმოდეთ ეს. გეფიქრობთ, ყველაფერი მხოლოდ სუსტი პოლიტიკურ-ალმზრდელობითი მუშაობის, იმ ინერტულობისა და უმოქმედობის მავნე ჩვევის შედეგი უნდა იყოს, რომელსაც ჯერაც ხშირად ეხვდებით საეკჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში და რაზეც არაერთხელ მიუთითებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სულ სხვაა, როცა საკითხს პარტიულ კრებაზე იხილავენ: ეს უფრო გულდასმით მომზადებას, მდგომარეობის დაწერილებით შესწავლასა და მოფიქრებული ღონისძიებების შემუშავებას მოითხოვს. ამიტომ მას დიდი დროც სჭირდება, მაგრამ მსმენელებისათვის მასალების გაცნობას წინ რა უდგას!

არც პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომს ეხსნება ამისათვის პასუხისმგებლობა. თუმცა რაიკომში დაასახელეს ღონისძიებები, რომლებიც განახორციელეს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე (გაიმართა თათბირი რაიონის სურსათეაეჭრობის მუშაკთა ერთ ნაწილთან, შეიქმნა მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესებისათვის ხელმძღვანელობის კოორდინაციის რაიონული შტაბი), მაგრამ პლენუმის მასალების მასობრივი პროპაგანდისათვის უფრო დროულად უნდა მიეღოთ ზომები, ძირეული ორგანიზაციებისათვის ეკონსულტაციათ თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რა გაეკეთებინათ.

ყოველი წუთი ძვირფასია, დაგვიანება კი საქმეს ვნებს.

ეს გარემოება სხვებმაც უნდა გათვალისწინონ.

ს. ხარაზიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ინჟინრის ახალი თაოსნობა

ეფექტიანობის ამაღლებას — ტექნიკური უზრუნველყოფა!

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ჯ. კაკულიამ კოლექტივში დაამკვიდრა კიდევ ერთი შესანიშნავი თაოსნობა, რომელიც აღრმავებს და უფრო ქმედითს ხდის მეტალურგთა საყოველთაოდ აღიარებულ პატრიოტულ ინიციატივას, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადება იქცეს ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების შემდგომი ამაღლების საფეხურად. ჯ. კაკულიამ საამქროში ჩამოაყალიბა რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების შემოქმედებითი კომპლექსური ბრიგადა.

როგორც ცნობილია, ხარისხისათვის ბრძოლა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება კომპლექსურ-ტექნიკური ღონისძიებების გადაწყვეტას მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანთა გაერთიანება, მათი ცოდნისა და შესაძლებლობის თავმოყრა.

ბრიგადაში, რომელსაც ჯ. კაკულია ხელმძღვანელობს, გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები. მაგალითად, ბრიგადის წევრებია მილსაგლნავი ლაბორატორიის უფროსი ინჟინერ-კონსტრუქტორი ა. ლეკაკა, მეტალურგიული ჯგუფის ხელმძღვანელი გ. ფეიქრიშვილი, ქარხნის ტექნიკური განყოფილების მეთაური ნელი ხაფიანი, სასარგებლო საუბარი გაიმართა პარტიის ცაგერის რაიკომის სხდომათა დარბაზში. პარტიული აქტივი შეხვდა რაიონის მოწინავე ადამიანებს, ითათ, ვისი ინიციატივითაც გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის ვადაზე ადრე შესასრულებლად. შეხვედრაზე პარტიის ცაგერის რაკომის პირველმა მდივანმა მ. გვეშიანმა ილაპარაკა რაიონის მშრომელების მიერ მოპოვებულ შრომითს მიღწევებზე, ანალიზი გაუკეთა რაიონში სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გასაჯანსაღებლად გატარებულ ღონისძიებებს, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში და სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე.

შეხვედრის მონაწილეებმა თვითკრიტიკულად შეაფასეს თავიანთი შრომის შედეგები, ილაპარაკეს ახალი წლის „მაღალი ზოუდეების აღების გზებსა და საშუალებებზე, დასახეს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების ღონისძიებები.

დასასრულს შრომის აქტივისტებს, პარტიისა და სამამულო ომის ვეტერანებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ვ. ცირეკიძე.

დასახეს მომავლის გეგმები

ცაგერი. (საკ. კორ.). შინაარსიანი, სასარგებლო საუბარი გაიმართა პარტიის ცაგერის რაიკომის სხდომათა დარბაზში. პარტიული აქტივი შეხვდა რაიონის მოწინავე ადამიანებს, ითათ, ვისი ინიციატივითაც გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის ვადაზე ადრე შესასრულებლად. შეხვედრის მონაწილეებმა თვითკრიტიკულად შეაფასეს თავიანთი შრომის შედეგები, ილაპარაკეს ახალი წლის „მაღალი ზოუდეების აღების გზებსა და საშუალებებზე, დასახეს მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების ღონისძიებები.

დასასრულს შრომის აქტივისტებს, პარტიისა და სამამულო ომის ვეტერანებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები.

ვ. ცირეკიძე.

ინფორმაცია

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 14 თებერვლის ბრძანებულებით პერსონალური პენსიონერი ვლადიმერ ერემიას-ძე სალაძე, — მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, — დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

დეკუტატის დღე

თელავი, (საკ. კორ). მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა მოაწყო „დეპუტატის დღე", რომელსაც რაისაბჭოს დეპუტატები, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

შეკრებილთ მოისმინეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. მარგალიტაშვილის მოხსენება— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმის შედეგებისა და პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის მიხედვით ადგილობრივი საბჭოების ამოცანები.

მოხსენებით — კანონი ოჯახისა და ქორწინების შესახებ და ადგილობრივი საბჭოების ამოცანები— გამოვიდა სახალხო მოსამართლე ლ. ბოკორაშვილი. თანამედროვე სასოფლო მშენებლობის საკითხები — ასეთი იყო რაიონის არქიტექტორის ე. კაპერსკის მოხსენების თემა.

„დეპუტატის დღის" მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება თავიანთი საქმიანობის შესახებ.

ა. თვალიაშვილი.

ახალი ხელსაწყოები

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" გორის ხაცდელ ქარხანაში დაიწყო ახალი ხელსაწყოების — მაღალი სიზზირის ტიტრატორების სერიული წარმოება. ეს ხელსაწყოები განკუთვნილია ტუტეების, მჟავეების, მარილების წყალხსნარების, აგრეთვე გაჯეჯილებული და შეფერილი ხსნარების ტიტრვისათვის. ახალი ხელსაწყოები მეტად მოსახერხებელია მუშაობაში, მცირე ზომისაა და განუწყვეტლივ მუშაობს შვიდ საათს. (საქინფორმი).

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„უტფილზართ ამ უბანში?"

რედაქციას უპასუხებს თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომი:

ჩვენი გაზეთის 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი, რომელიც თბილისის ლენინის რაიონის ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში არსებულ ნაკლოვანებებს შეეხებოდა.

წერილი ზომების მისაღებად გადაგზავნა მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიხაბჭოს აღმასკომს.

აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ადეიშვილი გვატყობინებს: წერილი განვიხილეთ. ფაქტები დადასტურდა. ელმავალსაშენებელი ქარხნის დასახლებაში დღემდე არ არის კეთილმოწყობილი ბავშვთა და მოზარდთა პოლიკლინიკა, არსებული პოლიკლინიკა, ბავშვთა ხანგრძლივი და აფთიაქები ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

დასახლების მესამე მიკრორაიონში რამდენიმე წელია ეიანერდება პოლიკლინიკის მშენებლობა, რომელსაც საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების შეკვეთით მშენებლობის სამინისტროს მეცამეტე ტრესტი აწარმოებს. გათვალისწინებულია მშენებლობა წლეულს დამთავრდეს.

ხვეზე, რომელიც დასახლების XI და III-IV მიკრორაიონებს მაღალი ძაბვა გადის, ელექტრონული ფოსტა-ტელეგრაფი, კაფესასადილო და სხვა ობიექტები.

გათვალისწინებულია № 62 ავტომატური სატელეფონო სადგურის გაფართოება და ახალი სადგურის მშენებლობა, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მოსახლეობის სატელეფონო მომსახურება.

რაისაბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებას, საეკსპლოატაციო სამსახურს დაევალათ განახორციელონ ღონისძიებები მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

წერილი არ დაგეჭდილა. მაგრამ...

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო გვატყობინებს:

რედაქციაში შემოვიდა გურჯაანის რაიონის სოფლების ლარჩვითის, ჯიმითის და ანაშენდას მოსახლეობის ერთი ჯგუფის კოლექტიური წერილი, რომელიც გვწერდნენ, რომ გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოუწესრიგებელი მუშაობის შედეგად სოფლების შორის ავტობუსების მოძრაობა დარღვეულია და სხვ.

წერილი ზომების მისაღებად გადაგზავნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს.

მინისტრის მოადგილე ამხ. ა. გოშაძე გვატყობინებს: წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. გურჯაანის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოძრაობა შემადგენლობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტზე. ხშირია დაგვგვიანებული ნაკლები ავტობუსების გაუვანის შემთხვევები იმ საავტომობილო მარშრუტებზე, რომლებთაც აღნიშნული სოფლები დაკავშირებული არიან კაჭრეთთან, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ დაავალა ტრესტ „სოფლმეურნეტრანსნის" ხელმძღვანელობას პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს აღნიშნული სოფლების მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობა მკაცრად არის გაფრთხილებული, რომ სისტემატიური კონტროლი, დაუწესოს მოძრავი ავტობუსების მუშაობას.

სამინისტროს მგზავრთა გადაყვანის სამმართველოს დაევალა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გურჯაანის რაიონს გამოუყოს მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული ავტობუსები.

ქავშირთშორის საოლქო კონფერენციებზე

გზა—ადგილობრივ ინიციატივებს

სოხუმი

აფხაზეთის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საქმეში.

როგორც მომხსენებელმა — აფხაზეთის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. შარტავამ, ისე კამათის მონაწილეებმა ყურადღება მიაქციეს ბოლო ორ-სამ წელიწადში ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული ცხოვრების, ადამიანთა ყოფის, ეროვნული ურთიერთობების ფართო ფრონტზე ბევრ ადგილას, ბევრ ასპექტში, ბევრ ეტაპზე ეტყობა ეროვნული ურთიერთობების ფაქტორის ეფექტიანობა,

ფაქტები, პროგლემები
საკადესი და უცხოეთის პრესის საკგენტოები გუშინდელ ამბებზე

მსოფლიოს ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად

მნიშვნელოვანი მონოგრაფია

საქართველოს მუშათა კლასის მეცნიერული ისტორიის შექმნა და ამ კლასის განვითარების უმთავრეს თავისებურებათა გაშუქება მნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა ისტორიული მეცნიერების თეორიულ საგანძურში. სწორედ ასე უნდა შეფასდეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის **მაყვალა ნათმელაძის** ორტომიანი მონოგრაფია **„საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია. 1921-1945“** (რედაქ. პროფ. ი. კაჭარავა), რომელიც გამოაქვეყნა გამომცემლობა „მეცნიერებამ“ 1970 და 1975 წელს.

მ. ნათმელაძის ორტომიანი მონოგრაფია წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ოცდახუთწლიან ისტორიაზე გამოქვეყნებულ პირველ განმზოგადებულ გამოკვლევას, რომელშიც გაშუქებულია საკლასიო საქართველოს მუშათა კლასის ფორმირების, ჩამოყალიბების, განვითარების პროცესი ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის, ბატონყმური ნაშთების, ანტიბოლშევიკური ბანდიტიზმის, ანტიეროვნული ოპოზიციის, ანტიბოლშევიკური ანტიპარტიული ჯგუფების, ანტიეროვნული ელემენტების

დამთავრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიის V კონკურსი

მივესალმებით ლაურეატებს!

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეებმა გამოაცხადეს შემოქმედებითი შეჯიბრების გამარჯვებულნი

□

ორ კვირას ეღირდა თბილისში მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიის V კონკურსის მონაწილეთა მუსიკა. ეს იყო ახალგაზრდა ტალანტების ნამდვილი დათვალიერება.

მიყურადა კონკურსის უკანასკნელი კონცერტები, გამოვლინდნენ ამ საინტერესო შემოქმედებითი შეჯიბრების ლაურეატები.

13 თებერვალს თბილისის ვ. ხარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა კონკურსის საზეიმო დასურვა.

გახსნა რა საღამო, თბილისის კონსერვატორიის რექტორმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ციცაძემ კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის, ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის სახელით მიულოცა ახალ ლაურეატებს, ამ მუსიკალური დათვალიერების ყველა მონაწილეს.

შემდეგ პიანისტთა ჟიურის თავმჯდომარემ, სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა, ერევნის კომიტასის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა ლ. სარიანმა გამოაცხადა კონკურსის გამარჯვებულნი. პირველი პრემია მიენიჭათ მ. მანაგაძესა და ნ. ქათამაძეს (თბილისი), გ. პეტროსიანს (ერევანი), რ. კასიმოვს (ბაქო). მეორე პრემია გადაეცათ თ. დოლიძეს (თბილისი), ლ. ბაბაჯანიანს (ერევანი), ფ. მამედოვს (ბაქო). მესამე პრემიით დაჯილდოვდნენ დ. დავლიანიძე (თბილისი), ს. ერკანიანი (ერევანი), ვ. ჯალალოვი (ბაქო). შვიდ პიანისტს გადაეცა კონკურსის დიპლომები.

მვეიოლინეთა და ალტისტთა ჟიურის თავმჯდომარემ — აზერბაიჯანის უ. ჰაჯიბეკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ბ. მამედოვამ დიპლომები გადასცა ვამარჯვებულთ.

პირველი პრემია მვეიოლინეთა შორის მიენიჭათ კ. არუთინიანს, ვ. ბოიაჯიანს (ერევანი), ა. დეტისოვს (თბილისი).

მეორე პრემია გადაეცათ ლ. ხარატიანს, გ. არუთინიანს (ერევანი), რ. ზამანოვს (ბაქო).

მესამე პრემია მიიღეს ლ. კორძახიამ (თბილისი), ე. ჩერკასოვმა, ა. ბაბაევმა (ბაქო).

კონკურსის ჟიურის პირველი პრემია ალტისტებისათვის არ მიუკუთვნებია.

მეორე პრემია გადაეცათა გ. ჩადუნელს (თბილისი) და რ. ბარეკიანს (ერევანი).

მესამე პრემიით დაჯილდოვდნენ ს. ავეტისიანი და მ. ალექსანდრიანი (ერევანი). კონკურსის დიპლომები გადაეცა ოთხ მუსიკოსს.

ვიოლონჩელისტთა და კონტრაბასისტთა ჟიურის თავმჯდომარემ აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორმა, პროფესორმა ა. რზაევმა გამოაცხადა გამარჯვებული ვიოლონჩელისტები. პირველი პრემია დაიმსახურა ვ. ვარტიკიანმა (ერევანი), მეორე—ს. ტრუშმა (თბილისი) და ა. მესროპიანმა (ერევანი), მესამე მ. დედიაშვილმა და დ. ცხადაიამ (თბილისი), ლ. მურადიანმა (ერევანი).

პირველი პრემია მიენიჭათ კონტრაბასისტებს რ. გაჯიევს (ბაქო) და მ. ლორიას (თბილისი). მეორე პრემიით დაჯილდოდა ო. საგანლიძე, მესამეთი — პ. ლეკაკი (ორივე თბილისი), სიგელები მიიღო ორმა ვიოლონჩელისტმა.

ვოკალისტთა კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, თბილისის კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგემ ნ. ანდღულაძემ ჯილდოები ვადასცა გამარჯვებულთ.

პირველი პრემია საოპერო სიმღერაში დაიმსახურეს ჰ. კასიმოვამ, ვ. მარჩენკომ (ბაქო), ს. მარტიროსიანმა (ერევანი), ტ. ჭიჭინაძემ (თბილისი).

მეორე პრემიით დაჯილდოვდნენ ვ. ესაიბეკიანი, გ. პატვაკიანი (ერევანი), ო. იმნელი (თბილისი).

კამერულ სიმღერაში პრემიები ასე განაწილდა: გ. ანტონიანი (ერევანი), ი. ისრაელიანი და თ. ჩაჩავა (ორივე თბილისი) — პირველი პრემია, რ. პანოვა (ბაქო), ა. ბუდაგიანი (ერევანი), ს. ლეტიაგინი და ვ. გრიგორიანი (ორივე თბილისი), მეორე პრემია, ბ. ალიევი და რ. ახმედოვი (ბაქო) — მესამე პრემია. სიგელებით დაჯილდოდა ოთხი მომღერალი.

სიგელებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საუკეთესო კონცერტმაისტერები.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის სასტუმრო სიგელები მიენიჭათ კონკურსის გამარჯვებულთ, რომლებმაც პირველი პრემიები დაიმსახურეს. კონკურსის მოწყობასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის ეს ჯილდოები ვადაეცათ აგრეთვე ნ. ანდღულაძეს, ლ. სარიანს, ა. რზაევს, ბ. მამედოვს, რ. ვახტანგოვს, გ. ხატიაშვილსა და სხვებს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამახსოვრო პრიზი მომღერალ ტ. ჭიჭინაძეს გადასცა რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ბ. კობახიძემ.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრიზი ვიოლონჩელისტს ვ. ვარტიკიანს გადასცა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ო. გორდელმა. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პრიზი პიანისტს ნ. ნარიმანბეკოვს გადასცა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა ნ. მამისაშვილმა.

ჯილდოების გადაცემის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კონკურსის გამარჯვებულებმა. (საქინფორმი).

სურათზე: მუსიკოს-შემსრულებელთა ამიერკავკასიის მეხუთე კონკურსის ლაურეატთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან მარჯვნივ — რ. ზამანოვი (ბაქო), თ. დოლიძე, (თბილისი), გ. არუთინიანი (ერევანი), ნ. ქათამაძე (თბილისი), გ. ანტონიანი და კ. არუთინიანი (ორივე ერევანი).

ა. ბაბაკანიძის ფოტო.

ამინდი

თბილისში 21 გრადუსი სითბო

გუშინ 14 თებერვალს საქართველოში მზიანი, თბილი ამინდი იდგა. შეიძლება ითქვას, ზამთრის პირობებთან შედარებით, უჩვეულო თბილიც. მაგალითად, 15 საათზე თბილისში თერმომეტრი 21 გრადუს სითბოს უჩვენებდა.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს თბილისის ამინდის ბიუროში აცნობეს, ასეთი სითბო მრავალწლიური მონაცემების მიხედვით გვქონდა 1955, 1958, 1959, 1960, წლებში, იმ ხანად 20 გრადუსი სითბო თებერვლის მეორე ნახევარში აღინიშნა. ერთადერთი შემთხვევა იყო 1966 წლის 14 თებერვალს, როცა თბილისში თერმომეტრი 16 გრადუსს უჩვენებდა.

გუშინ დასავლეთ საქართველოში 13 საათზე ყველაზე მეტი სითბო — 21 გრადუსი ზუგდიდში იყო, ფოთში — 20, დანარჩენ დაბლობ რაიონებში 16-19, მთებში 14-15 გრადუსი სითბო აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოშიც სითბო იყო. დაბლობ რაიონებში 15-21, მთებში 7-13 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე მოსკოვში თერმომეტრი 16 გრადუს ყინვას უჩვენებდა, ლენინგრადში, ხარკოვში იყო 13, კიევში — 6, როსტოვში — 2 გრადუსი ყინვა.

ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი სითბოს სინოპტიკოსება საბჭოეთის ქვეყნებიდან თბილისი ჰაერის გადმოტანით ხსნიან.

დღეს აფხაზეთში მოსალოდნელია უმნიშვნელო წვიმა, იქროლებს დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 13-17 გრადუსი სითბო, აჭარაში — მშრალი ამინდი, იქროლებს სამხრეთ-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 16-21 გრადუსი, კოლხეთის დაბლობზე — უნალექო ამინდი, იქროლებს აღმოსავლეთის ძლიერი ქარი, ტემპერატურა 15-20 გრადუსი.

სამხრეთ ოსეთსა და ბორჯომის ხეობაში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 6-11 გრადუსი სითბო, ქართლში — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 8-13 გრადუსი სითბო, კახეთში იქნება მცირე წვიმა, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 7-12 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 11-13 გრადუსი სითბო.

□

ამოიგო ავტომანქანა

თელავი, (საკ. კორ.). თელავში მცხოვრებმა გ. დემოროვმა 1976 წლის ფულისა და ნივთების „საღღესასწაულო-საახალწლო ლატარიის 42097 სერიის № 211 ბილეთით ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მოიგო.

სასიხარულო ცნობა

ამბროლაური. (საკ. კორ.). ღვინის ქარხნის კოლექტივი სულ უფრო აუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. ხუთ წელზე მეტია, რაც მისი გამოშვებული ღვინო „ხვანქარა“ ხარისხის სახელმწიფო ნიშნით იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა საწარმოში — მოსკოვის ღვინოების სადეგუსტაციო კომისიამ ქარხნის კიდევ ერთ პროდუქციას — „თეორას“ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიაკუთვნა.

□

ახალი გიბლიოთეკა

ყვარელი. (საკ. კორ.). სოფელ ჭიკანის მოსახლეობას აქამდე ორი სასოფლო ბიბლიოთეკა ემსახურებოდა, რომელთა ბიბლიოთეკა ეს ეფერ ვეღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ რაიონის კულტურის განყოფილებამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და კოლმეურნეობის გამგეობამ გადწყვიტეს სოფლის შედარებით დაბორტელ უბანში მესამე ბიბლიოთეკა გაეხსნათ.

ახალი ბიბლიოთეკა უკვე შეუდგა მუშაობას. მას ამჟამად 1600 წიგნი აქვს, რაც წლის ბოლომდე კიდევ უფრო გაიზრდება.

ეკალათბურთი

ეს საბედისწერო ერთი ქულა...

გადაუვარგებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის „დინამოსა“ და ცსკა-ს მატჩები უკანასკნელ წლებში საბჭოთა კალათბურთის ყველაზე საინტერესო ასპარეზობათა კატეგორიას მიეკუთვნება. ისინი მეტწილად მწვავე, უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობს.

ასე იყო კვირა საღამოსაც თბილისის სპორტის სასახლეში. დინამოელთა ხუთეულმა (მ. ქორქია, ჩხიკვაძე, ძიძიგური, პეტლავსკი, მაღალთაძე) უკვე მესამე წუთისათვის შეძლო დაწინაურება — 10:8. აქედან სამი ზუსტი ტყორცნა გუნდის კაპიტანს მ. ქორქიას ეკუთვნოდა. სწრაფი თამაში, უაღრესად მაღალი ტემპი ორივე გუნდმა, რომ იტყვიან, უყოყმანოდ მიიღო — 10:10, 14:14, 16:16, შემდეგ კი 22:16 დინამოელთა საარგებლოდ. მომდინარეობს შეხვედრის მე-6 წუთი. არმიელებს მოედანზე მაღალი ტანის ყარმუხამედოვი გამოუყავთ... 22:20. ყარმუხამედოვი ათანაბრებს ანგარიშს — 22:22 და აი წინ უკვე სტუმრები გადიან — 24:22, შემდეგ 28:24. დინამოელთა რიგებში დერიუგინი და ბიჭიაშვილი გამოჩნდნენ, სტუმრებმა კი მე-10 წუთზე პირველად შეიყვანეს თამაშში გუნდის კაპიტანი ს. ბელოვი. ქულათა სხვაობა მე-14 წუთისათვის უკვე ათს აღწევდა მოსკოველთა სასარგებლოდ — 40:30. და აი აქ „ააწყო“ თამაში დერიუგინმა — 34:42, 43:49 და 49:53. ამ ანგარიშით წავიდნენ მეტრქეები შესვენებაზე.

მეორე ნახევარში ჩხიკვაძემ გაქვითა ანგარიში — 65:65, ხოლო დერიუგინმა მე-9 წუთის დამლევს კვლავ წინ გაიყვანა „დინამო“ — 71:69, ამას მოპყვა მ. ქორქიასა და ჩიხლაძის ზუსტი ტყორცნები — 75:71, 78:71. ზედიზედ სამჯერ აიღო მეტოქის კალათა ბიჭიაშვილმა—84:79. აქვე ბელოვი ამცირებს სხეაობას — 83:84, 85:86. კიდევ ორ საჯარიმოს აგდებს ბელოვი — 87:86. ახლა ბიჭიაშვილი „იღებს“ ორ ქულას, მაგრამ მერე იქვე აცდენს ორ საჯარიმო ტყორცნას. 88:87 — წინ „დინამოა“. რჩება ერთ წუთზე ნაკლები. ბურთი არმიელებს აქვთ. ტყორცნის ს. კოვალენკო... 89:88. გათამაშების ლიდერმა ცსკა-მ უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მე-15 გამარჯვება მოიპოვა.

ამ მატჩის მსაჯობის კომენტარი ვთხოვეთ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს როლანდ ხომერიას:

— აშკარა იყო, რომ ზაპოროჟიელმა არბიტრმა გ. კალაშნიკოვმა ბოლო წუთებში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა, არაობიექტურად მოქმედებდა ჯარიმების, აუტის დანიშვნისას, გვერდითი ბაზიდან ბურთის თამაშის შეყვანის დროს და ა. შ., რამაც გარკვეულად იმოქმედა შეხვედრის შედეგზე.

სამწუხაროდ, ამას მოჰყვა ახალგაზრდების ერთი ჯგუფის გამომწვევი მოქმედება, რამაც მაყურებელთა სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა.

ო. ნოზაძე.

თხილამურები

ბაკურიანის სტარტები

ბაკურიანში საკავშირო თასის გათამაშების პირველ დღეს ორჯიდელები 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. თავი გამოიჩინა ლენინგრადელმა ა. ბარანოვმა („დინამო“), რომელიც პირველი ორი ცდისას ერთნაირ მანძილზე — 82 მეტრზე გადახტა, ხოლო მესამე ცდაზე გაცილეთით შორს 88,5 მეტრზე გაფრინდა.

მეორე დღეს გაიმართა შეჯიბრება 15 კილომეტრზე რბოლაში. აქ იმარჯვა გასული წლის თასის მფლობელმა კემეროველმა ნ. ნოგოვიცინმა (იგი ტრამპლინზე მეშვიდე ადგილზე გამოვიდა)—დრო 50.07, ხოლო ა. ბარანოვი მეშვიდე ადგილზე აღმოჩნდა — 52.57.

საბოლოოდ ა. ბარანოვი ორჯიდის ჯამში პირველ ადგილზე გამოვიდა. ი. ეორონინი მეორე ადგილზეა, ნ. ნოგოვიცინი—მესამეზე.

მ. ზაქარეიშვილი.

რვიდანი — სამი „ოქრო“

დამთავრდა თბილისის მერვე საერთაშორისო ტურნირი-ბოლოვი

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ძიუდოისტთა მერვე საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი.

კვირის შეჯიბრებაში საინტერესო იყო ევროპის სამგზის ჩემპიონის ფან-ქაკ მუნივისა (საფრანგეთი) და თბილისელი ალბეგ ზურაბიანის შეხვედრა. 17 წლის ქართველი სპორტსმენი ფსიქოლოგიურად კარგად მოემზადა შეხვედრისათვის და დამაჯერებლად გაიმარჯვა. ეს ტურნირის ერთ-ერთი ულამაზესი ორთაბრძოლა იყო.

ამავე მჩატე წონითს კატეგორიაში კარგად იასპარეზა მეორე ქართველმა ფალავანმა დიმიტრი გელიაშვილმა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფინალში გასელას და სამი ორთაბრძოლის მოგებას მან 3 წუთი და 44 წამი მოანდომა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ქართველი ჭაბუკის მეტოქე იყო გამოცდილი სპორტსმენი, ეოლგოგრადელი ევგენი პოგორელოვი. გაიმარჯვა გამოცდილებამ. დიმიტრი გელიაშვილი მეორე სპარიზო ადგილზეა.

ასპარეზობის ბოლო დღეს დიდად საინტერესო იყო შეჯიბრება ამხოლუტურ წონით კატეგორიაში, რომელშიც ჩაება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჯიბილო ნიკიფორაძე. ქართველ გოლიათს (წონა — 134 კგ.), შეიძლება ითქვას, ძალების დაძაბვა არც კი გასჭირებია გამარჯვებისათვის. მან ოთხ შეხვედრაში აკობ კოდრიასთან (რუმინეთი), ანტონ ტრიპესთან (საფრანგეთი), ლასლო იპაჩთან (უნგრეთი) და ფინალში უნგრელ იმრე ვარგასთან გამარჯვების შემდეგ თბილისის მერვე საერთაშორისო ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა.

ამრიგად, დაძაბული ოთხდღიანი ასპარეზობის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. მაზიაშვილი) რვა წონით კატეგორიაში სამი პირველი ადგილი მოიპოვა: თ. ხუბულურავა (ქვემძიმე), ა. ობგაიძე (ქვემსუბუქი) და ჯ. ნიკიფორაძე (ამხოლუტური). მათ გარდა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა მოჭიდავეები ე. პოგორელოვი (მჩატე), ა. ციუპაჩენკო (საშუალო) და ა. ტიუერინი (ძმიმე), აგრეთვე ვდრ-ის სპორტსმენები გ. კრიუგერი (მსუბუქი) და გ. ჰინკე (ქვესაშუალო).

ო. კუსიანი,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე: ამხოლუტურ კატეგორიაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულებს (მარცხნიდან) უნგრელ ი. ვარგას (მეორე ადგილი), ჯ. ნიკიფორაძეს (პირველი ადგილი) უნგრელ ლ. იპაჩის და ფრანგ ა. პარიზის (მესამე ადგილები) აჯილდოებს შეჯიბრების მთავარი მსაჯი, ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ქიბროწაშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.



ფეხბურთი

მესამე მატჩი

„ტორპედო“ ქუთაისი — „ოლიმპია“ ლიუბლიანა (იუგოსლავია) — 1:2 (0:2).

14 თებერვალი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი. მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

„ტორპედო“ — მამინაშვილი, ვოლკოვი (სარიშვილი), სულაქველიძე (ძარგველანი), მელიქია, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, სვანაძე (ქვირია), ფეხტვენიძე (ბურკაძე), შელია (კვერნაძე), გაბიჩვაძე (შვაცოვი).

„ოლიმპია“ — დალანოვიჩი, ბრაცანოვიჩი, ხრასტოვსკი, კარიჟი (კლამფერი), დოგანჯიჩი, სამატოვიჩი, კომლენოვიჩი, ივოვიჩეიჩი (ვუიოვიჩი), კოველი (ამერშეკი), გრუბორი, როჟიჩი.

იუგოსლაველებმა პირველ ტაიმშივე გაიტანეს ორივე გოლი. ჯერ ეს მოხდა მე-15 წუთზე, როდესაც მარჯვენა მცველმა ბრაცანოვიჩმა სწრაფი რეიდის შემდეგ ბურთი ზუსტად ჩაწოდა საჯარიმოში შესულ კოველს. ამას მოჰყვა ასევე ზუსტი თავური დარტყმა და ანგარიში გაიხსნა. მე-40 წუთზე სტუმრების მარცხენა გარემარბმა როჟიჩმა შორიდან ორამდე გაზარდა ანგარიში. მეორე ტაიმში (მატჩის 78-ე წუთზე) კვერნაძემ საპასუხო გოლი გაიტანა. 2:1 — გაიმარჯვა „ოლიმპიამ“.

დღეს იუგოსლავი ფეხბურთელები მშობლიურ ლიუბლიანაში მიფრინავენ.

ციგურები

საბჭოთა ქვარცხლბეკი

დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა ამერიკის ქალაქ კისტოუნში მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა შორის. ქვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კიეველი ვერა ბრინდზეი, ლენინგრადელი გალინა სტეპანსკაია და გორკელი გალინა ნიკიტინა. ეს საბჭოთა სპორტის უდაოდ დიდი წარმატებაა.

ჭადრაკი

ორი ლიდერი

ლენინგრადში გრძელ დებატებშეიარაღებული ძალების საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელმაც უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი. შეჯიბრებაში მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი.

მესამე ტურში მსოფლიოს ჩემპიონი ყაიმზე შეეთანხმდა დიდოსტატ ტუმკაკოს (ოდესა), მეოთხეში ასევეთ შედეგით დაამთავრა შეხვედრა ოსტატ ხავსკისთან (ლენინგრადი), ხოლო მეხუთეში გადადო პარტია შეიარაღებული ძალების არაერთგზის ჩემპიონმ, ოსტატ ეფერიანდინოვთან (ლვოვი).

5 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ორი ლიდერი ჰყავს — ოთხ-ოთხი ქულით ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატი კარასიოვი (ლენინგრადი) და ოსტატი ეფეროვი (მინსკი).

ორიოდე სიტყვით

მშვილდოსნობა. კანბერაში (ავსტრალია) დამთავრდა მსოფლიოს 29-ე ჩემპიონატი. ოქროს მედლები მოიპოვეს ამერიკელებმა ლიან რაიენმა და რიჩარდ მაკინეიმ. დუშანბელი ზეგინნისო რუსტამოვა მეოთხე ადგილზე გადმოვიდა.

ხმლბურთი. ლიტვის ქალაქ ალიტუსში გამართულ უმაღლესი ლიგის ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩში თბილისის „ბუოვესტნიკმა“ დაამარცხა ლენინგრადის „ნევა“ — 27:23.

ჩოგბურთი. ჩიკაგოში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ფინალში 22 წლის კოის ევერტმა (აშშ) ანგარიშით 6:1, 6:3 სძლია ავსტრალიელ მარგარეტ კორტს, რომელმაც ნახევარფინალში დაამარცხა მოსკოველი ნატალია ჩმირიოვა — 7:5, 6:1.

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

ეროვნული ტრადიციები

ცოტა ჩუმად, არ შეიძლება?

ისიდორე დიდხანს ემუდარა პაპა მიხოს, სანამ დაითანხმებდა დაეტოვებინა მთები, ცხვარი და ახალ ბინაში სტუმრებოდა, დამტკბარიყო, როგორც შვილიშვილი ჰპირდებოდა, „ქალაქური ცხოვრების კომფორტით“.

და აი იგი მრავალსართულიან სახლშია, მტკვრის სანაპიროზე რომ აღმართულა. რომ გაიგეს, მიხო ჩამოვიდაო, მთელი აპალბეჟულები შეიკრიბნენ.

— თოვლის პაპა მოსულა... თოვლის პაპა მოსულა!... — დაინახეს თუ არა, აყივყივდნენ შვილთაშვილები და კისერზე ჩამოეკიდნენ...

მართლაც თეთნაკეთ თოვლის პაპას უგავდა გრძელი თეთრი წვერი, აპრეხილი ულვაშები და საჩუქრებით სავსე ხურჯინი. ცალ ხურჯინში ტიკვორა ედო, ცალში კი — კბილებში ბოლოკგარილი გოუის თავი მოჩანდა.

და მიხო მაშინვე შვილთაშვილების ტყვეობაში აღმოჩნდა. ისინი გარს შემოეხვიენენ, ახრებზე აჯდებოდნენ, წვერსა და ულვაშს უფუჭკნიდნენ. გულწრფელად უკვირდათ, რომ წვერ-ულვაში მიწებებული არ ჰქონდა. ბავშვებმა პაპას ბოხოხი დაითრიეს, ჟრიამულით და ყიჟინით დაეკენებინენ ბინაში, ბუთხუნა კოტე კი, თავის სეხნია კოტე მახარაძის მიბაძვით, ხმამაღლა განმარტავდა ყველაფერს, რაც სახლში ხდებოდა. ყურთასმენის წამღები გვისახ რომ ჩაეხო, ისიდორემ რაც შეიძლება აიღიალა ტელევიზორი.

დარეტიანებულმა მიხომ ძლივს დაიწია თავი პატარებს, იფიქრა მეორე ოთახში დავიმალები, ცოტას დავისვენებ და დავშშვიდდებიო. მაგრამ — საქმეში ხარ? აქ უკვე მოზრდილი ახალგაზრდები მხიარულობდნენ. ჭაბუკები გამშაგებით იქნევდნენ ფეხებს, გოგონები კი მთელი ტანით იგრიხებოდნენ. რადიო ისე გაკკიოდა, მიხოს კინალამ სისხლი გაუშრა ძარღვებში...

აივანზე გავარდა. ქვემოთ სანაპიროზე ხმაურითა და გუგუნით უწყვეტ ნაკადად მიპქროდნენ მანქანები. აი, გულშემზარავი ღრიალცელითა და კიჟინით ჩაიქროლა საქორწინო ავტომობილების კორტეჟებმა ტრადიციული თოკინით... მას სახელმწიფო ავტოინსპექციის მანქანა მისდევდა. ინსპექტორი მეგაფონით უყვიროდა მათ, კატეგორიულად მოიფხოვდა, სიჩუმე დაიცავითო.

აივანზე ისიდორე გამოჩნდა, მოხუცს მხარზე ხელი გადახვია:

— პაპა, ჩემო ძვირფასო. ნამგზავრი ხარ, ძალიან დაიღლებოდა. ძილის წინ შეგიძლია შხაპი მიიღო.

ის იყო მიხომ საბაზანოში ონკანს ხელი შეახო, რომ ისეთი გუგუნი გაისმა, მოხუცს სამოქალაქო ომის შორეული დღეები მოაგონდა, როცა „მაქსიმით“ მოქმედებდა.

ბოლოკვით გამჭვირვალე მთის ჰაერს შეჩვეულ მიხოს სული შეეხუთა კაბინეტში. ფანჯარა გამოაღო, და ისევ მანქანების გუგუნის ხმა შემოიჭრა...

დიდხანს იწრიალა მიხომ, სანამ ჩასთვლემდა, და მაშინვე ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ მუშაობს თბილისის საქალაქო სატელეფონო სადგური. აღელვებული ქმარი, რომელიც სამშობიარო სახლის ნაცვლად ბინაში მოხვდა, „ძვირფას პროფესორს“ ეკითხებოდა, მორჩა თუ არა ჩემი ცოლიო... თვალი მილულა თუ არა მიხომ, ისევ ზარი გაისმა. ვიღაც ბოხი ხმით ეკითხებოდა: „ეს ცენტრალური ტელეგრაფიი?“...

ბოლოს გატანჯულ მიხოს ძილი მოერია, და მაშინვე ინტენსიური სროლა ატყდა... ნამძინარევმა იფიქრა, ყარაღები დაგვესხნენ თავსაო, პაპა წამოვარდა, თავის ხანჯალს ეცა, სკამებსა და ვაზებს წამოედო და გადმოაყირავა. მალე მიხვდა, რაც მომხდარიყო. სანაპიროზე უწესიერო მოტორებიანი მანქანები მიქროდნენ და გამოსაბოლქვი მილებიდან „ისროდნენ“. მათ ბანს აძლევდნენ მოტოროლერები და მოტოციკლები, რომლებისთვისაც ხმაურიანი ეფექტების მოყვარულთ ხმის ჩამხშობები მოეხსნათ.

ის იყო თავი მიდო ბალიშზე, რომ უცებ შეკრთა მიხო: ფანჯარასთან ვიღაც უწვერული საკუთარი მანქანის სასიგნალო საყვირით უცნაური სერენადის მელოდიას აყოერებდა...

მიხო ისევ დაწვა და ის იყო ტკბილი ზმანებების ტყეეობაში ჩავარდა, რომ ქალის კივილმა გამოაღვიძა — თურმე ვიღაცას უკიჟინებდა... გაიღვიძეო. გაოგნებული მიხო წამოჯდა, თვალები მოიფშვნიტა და საკუთარი სხეული მოისინჯა. კივილი მეთოღური სიზუსტით ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მეორდებოდა. იგი ფანჯარასთან მივიდა, დიდხანს უყურა და უსმინა, უნდოდა გაეკვეა, საიდან მოისმოდა ეს ყვირილი. თურმე ნუ იტყვით, მტკვრის მეორე სანაპიროზე განლაგებული „სასწრაფო დახმარების“ საქალაქო სადგურის დისპეტჩერი მიკროფონით აღვიძებდა შოფრებსა და ექიმებს და მანქანებთან უხმობდა. მიხომ გაიფიქრა: „კიდევ ცოტა და, ჩემი წაყვანაც მოუწევთო“.

ისევ ჩასთვლემა. და აი უცებ კარადის, სერვანტის, საწერი მაგიდის ქვეშოდან, ფანჯრებიდან, კარებიდან გამოძვრნენ ეშმაკუნები. ისინი მთელი ხმით წკმუოდნენ, ერთმანეთს ტაფებსა და ქვაბების სახურავებს ურტყამდნენ, გარშემო ყველაფერი გუგუნებდა.

ამ დროს რაღაცამ ზღართანი მოადინა, თითქოს ჭერი თავზე ჩამოექცაო, და კოშმარი გაქრა. მიხოს გამოეღვიძა. თურმე ზემოთ მეზობლები ერთობოდნენ. უკვე გათენებულიყო. მიხო საწოლიდან წამოიჯრა, სწრაფად ჩაიცვა, ფეხის წვერებით გაიარა დერეფანი და საღარბაზოსთან გაჩნდა...

— საით გაგიწევია, პაპაჩემო, — დაუძახა უცებ ისიდორემ.

— მთებში... ცხვრებთან... — დაიბნა მიხო. — გამიგე, რატომღაც თავი მისკდება, ეტყობა, ქალაქის ჰაერი არ მომიხდა.

— შენ, პაპა, ნუ ეშმაკობ, ისა თქვი, რომ ხმაურია ჩვენთან, ხმაურია...

— ჰო, ესეც არის...

— 1971 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სპეციალური გადაწყვეტილებაც კი მიიღო დასახლებულ პუნქტებში, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში შინა და გარე ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

— კი მაგრამ, მაინც რატომ არის ამდენი „შინა და გარე“ ხმაური?

— უფრო მეტიც, სპეციალური რესპუბლიკური კომისიაც შეიქმნა ხმაურის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ჯერჯერობით იგი მხოლოდ ხმაურობს, პაპაჩემო, და მეტი არაფერი...

„არ ვიცი, შვილო, რა მოუვიდა შენს პაპას, — სწერდა ისიდორეს რამდენიმე ხნის შემდეგ ბებია. — რომ ჩამოვიდა, ფერფური ჰქონდა დაკარგული. სულ ბოლოს სცემდა და გაიძახოდა: „ეს რა უბედურებაა. ქალაქში ყველაფერი ბღავის, წრიპინებს, ყვირის და გუგუნებს, სულ ყველაფერი, ყველაფერი. ჩუმად, მეგობრებო, თავი გამისკდა“. და როცა ერთხელ სიტყვა ჩამოუგდე, ახლახან ჩვენს ფერმაში ლექტორმა გვითხრა, მალე სოფელში ყველაფერი ისევე გვექნება, როგორც ქალაქში-მეთქი, ხელი დაავლო მწყემსის გრძელ კომბალს და თავის ცხვრებთან გაიქცა. აი უკვე მერამდენე დღეა, ვერაფრით ვერ შემომიტყუებია შინ“.

გ. ლებანიძე.

თბილისი.

„პრავდა“, 13/II-77.

საქვირაო ფელეტონი

ქერთულ ქერამეიქა — სპეზღვარგარეთ

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გზავნის კერამიკულ ნაწარმს თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივი. ახლა მზადდება კერამიკული ნაწარმის დიდი პარტია ესპანეთში გასაგზავნად. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამ ქვეყანაში გაიგზავნება 25 სახეობის ნაწარმი.

კარგად შრომობს კომბინატის კერამიკულ საამქროში ჩამომსხმელი ეთერ მამფორია. იგი კომუნისტური შრომის დამკვრელია. ეთერ მამფორიას მიერ დამზადებული პროდუქციის 90 პროცენტი საექსპორტოდ იგზავნება.

სურათებზე: ეთერ მამფორია; ესპანეთში გასაგზავნად მომზადებული კერამიკული ნაწარმი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ტელევიზია

15 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — — დილის ვარჯიში. ფერადი გამო